

## კონფლიქტი აფხაზეთში და მისი მოგვარების შესაძლო გზა

**საქართველოს რესპუბლიკური პარტია  
ქართველობასა და აფხაზობას სთავაზობს  
თანაცხოვრების ახალ მოდელს –  
ერთიანობა განცალკევების მეშვეობით.**

აფხაზეთის პრობლემატიკა იყო და არის რესპუბლიკური პარტიის ინტერესთა ერთ-ერთი უპირველესი სფერო. რესპუბლიკელებს არაერთგზის გაგვიმართავს დიალოგი აფხაზურ მხარესთან, რომელშიც გამოკვეთილა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების გამომწვევი მიზეზები და არსებული პრობლემების მოგვარების შესაძლო გზები. ამ დიალოგის პრაქტიკული და თეორიული გააზრების შედეგები გაფორმდა კონკრეტული წინადადებებისა თუ კონცეფციის სახით და მოხსენდა საკონსულტაციო საბჭოს, სახელმწიფო საბჭოს, სახელმწიფოს მეთაურს, საქართველოს პარლამენტს. 1992 წელს რესპუბლიკელებმა შევიმუშავეთ, გამოვაქვეყნეთ და შეეთავაზეთ განსახილველად საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრიობას კანონპროექტი “საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სამართლებრივ-პოლიტიკური სტატუსის შესახებ”. ჩვენი მეცადინეობა მიზნად ისახავდა შეირადებული კონფლიქტის თავიდან აცილებასა და სადავო საკითხების მოლაპარაკებათა მაგიდასთან გადაწყვეტის; ჩვენი მიდგომა ეფუძნებოდა აფხაზთა თვითმყოფადობისადმი პატივისცემისა და თავისუფალი განვითარების, საქართველოს ერთიანობის პრინციპების დაცვას. სამწუხაროდ, ქართველ ხელისუფალთათვის ჩვენი პროზიცია ხან “გაუგებარი”, ხან “ნაადრევი”, ხანაც, ჩვენთვის გაუგებარი მოსაზრებების გამო, მიუღებელი იყო; შესაბამისად - აფხაზი ხელმძღვანელებისა და პოლიტიკოსებისთვის ჩვენ ვიყავით მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი ოპოზიციური პარტია, რომელსაც არ ეძლეოდა შესაძლებლობა თავისი შეხედულებების ცხოვრებაში გატარებისა. ამასობაში შეიარაღებული კონფლიქტი, რომლის მომწიფება-მოახლოებას და მოსალოდნელ უმძიმეს შედეგებს უგულებელყოფდა საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოებრიობის უდიდესი ნაწილიც, რეალობად იქცა. ფაქტობრივად საქართველოს ხელისუფალთა უმოქმედობამ და უიდეობამ ომამდელ პერიოდში გარდუვალი გახადა შეიარაღებული კონფლიქტი; ომის მსვლელობაში კი ხელისუფლება რუსეთის ხელშეწყობით გაჩაღებული კონფლიქტის რუსეთის მეშვეობითვე მოგვარების ყოველად უპერსპექტივო გზას დაადგა.

### *ინიციატივის შესახებ*

წინამდებარე ინიციატივა მიზნად ისახავს ქართველთა და აფხაზთა შორის კონფლიქტის არაძალადობრივი გზით მოგვარებისთვის ჯანსაღი ნიადაგის შექმნას, გრძელვადიანი და სტაბილური მშვიდობისა და ურთიერთნდობის დამყარებას, თანამშრომლობისთვის და თანაარსებობისთვის მყარი საფუძვლის ჩაყრას, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში გარეშე მადესტაბილიზებული ფაქტორების მნიშვნელობის მინიმუმამდე დაყვანას, მრავალმხრივი კავკასიური თანამშრომლობისთვის ხელის შეწყობას.

ინიციატივა გულისხმობს როგორც მხარეთა ხელისუფლებებისა და ოფიციალურ წარმომადგენელთა, ისე საზოგადოებრიობის მშვიდ და რეალისტურ მიდგომას უაღრესად მტიკვნეული პრობლემის გადაწყვეტის შეთავაზებული ტექნოლოგიის მიმართ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინიციატივა მიუღებელი აღმოჩნდება

მხარეთათვის (ერთი მხარისთვის) იგი არმც და არმც არ შეიძლება და არ უნდა იქნას გამოყენებული დაძაბულობის ესკალაციისთვის და ურთიერთბრალდებების ახალი ტალღის ასაგორებლად.

ინიციატივა ითვალისწინებს იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ განსხვავებული მისწრაფებების მქონე მხარეთა შორის შეთანხმება მოითხოვს არა მხოლოდ კეთილი ნების პრაქტიკულ გამომუდავებას, არამედ ორმხრივ და შემხვედრ დათმობებსაც და, ამდენად, გამოქვეყნების დღიდანვე გამოიწვევს აზრთა სერიოზულ სხვადასხვაობას, ხოლო განხორციელების შემთხვევაში (პირველ ხანებში მაინც) ვერ დააკმაყოფილებს ყველა ქართველსა და აფხაზს. საქართველოსა და აფხაზთა ხელისუფლებების მხრიდან ჩვენი ინიციატივის მიმართ დაინტერესების გამოვლენის შემთხვევაში იგი მოითხოვს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურ ჩართვას როგორც მოლაპარაკების ხელშეწყობის საქმეში, ისე, მოლაპარაკებების წარმატებულობის შემთხვევაში, მიღწეული შეთანხმებების პრაქტიკული განხორციელების პროცესშიც, ამ პროცესის მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფაში, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლში, მიღწეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორმხრივი გარანტიების რეალიზებაში.

### *კონფლიქტის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგები*

პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად შექმნილი ვითარება ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ვერც ერთი მხარე ომში გამარჯვებულად თავს ვერ მიიჩნევს.

საქართველომ დაკარგა კონტროლი და იურისდიქცია სახელმწიფოს ტერიტორიის დიდ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნაწილზე, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უზარმაზარი არმია კიდევ უფრო ართულებს ისედაც მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებას ქვეყანაში, ქმნის უარყოფით ფსიქოლოგიურ ფონს. ასეულათასობით ადამიანი დარჩა სახლ-კარის, ქონების, სამუშაოს, სტაბილური შემოსავლის გარეშე, უხეშად არის შელახული მათი ძირითადი უფლებები. დევნილები - ათასგზის მოტყუებულნი და იმედგაცრუებულნი - ყალიბდებიან მარგინალურ ჯგუფად.

აფხაზებმა, მიუხედავად გარეშე ძალების დახმარებით მიღწეული სამხედრო წარმატებისა, ვერ მიიღეს რაიმე ხელშესახები პოლიტიკური დივიდენდები, ხოლო ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აფხაზეთში დღეს კიდევ უფრო უარესია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობა და აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გარეშე ჩატარებული არჩევნების შედეგები არავის უღიარებია და ამის პერსპექტივა არც არსებობს, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო პრაქტიკას. აფხაზეთის მთელი ტერიტორიის არამც თუ კოლონიზაცია, არამედ ადმინისტრაციული ან სამხედრო კონტროლის განხორციელება აღემატება აფხაზთა რეალურ შესაძლებლობებს; ეკონომიკა სრულიად დანგრეულია და ამ ფონზე მატულობს სოციალური დაძაბულობა და აფხაზეთის ტოტალური კრიმინალიზაციის საფრთხე. აფხაზეთს აქვს შანსი გადაიქცეს ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ტრანზიტისა და ვაჭრობის პუნქტად.

არც ომისა და არც მშვიდობის მდგომარეობის გახანგრძლივება სახიფათო და უპერსპექტივოა ორივე მხარისათვის; იგი სერიოზულ დაბრკოლებად იქცა საერთოკავკასიური სტაბილურობისა და თანამშრომლობისთვისაც.

## *კონფლიქტის მოგვარების ძირითადი დამაბრკოლებელი გარემოებები*

არსებული მდგომარეობის მაქსიმალური გახანგრძლივებით მხოლოდ ის ძალები არიან დაინტერესებულნი, რომელთაც სურთ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დასუსტების გზით თავისი გავლენის განმტკიცება, ფართო კავკასიური თანამშრომლობის არდაშვება, დაძაბული და ფეთქებადსაშიში მდგომარეობის შენარჩუნება, რაც ინტერესს გაუნელებს რეგიონის მიმართ დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნებს.

გარეშე ძალების ანგარებიანი ინტერესის გარდა მთავარ დაბრკოლებად ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარების გზაზე გვევლინება დაუძლეველი წინააღმდეგობა მხარეებს შორის პრობლემის ორი უმთავრესი ასპექტის მიმართ მიდგომაში. საქართველოს ხელმძღვანელობის აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას პირობები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნებისთვის და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს, შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების მიღება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის თაობაზე. საფუძველი ამ პოზიციისთვის მყარია — აფხაზეთის მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს თავისი მომავლის განსაზღვრაში მონაწილეობის მიღების უფლება არ უნდა წაერთვას. აფხაზური ხელისუფლება კი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს მისთვის მისაღებ ჩარჩოებში აფხაზეთის სამართლებრივ-პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას და გამოხატავს მზადყოფნას მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს დევნილთა პრობლემის გადაწყვეტას. ეს პოზიცია ემყარება იმ გარემოებას, რომ პერსპექტივა სტატუსის პრობლემის გადაჭრისა აფხაზეთისთვის მისაღებ ჩარჩოებში აფხაზეთში ომამდელი (ან მასთან მიახლოებული) დემოგრაფიული ვითარების აღდგენის პირობებში, როცა ისინი აშკარა უმცირესობას წარმოადგენდნენ, ნაკლებად არის დამაიმედებელი.

## *ურთიერთუნდობლობა; მხარეთა ეჭვები; მტრის ხატი*

ურთიერთუნდობლობა აშკარა და არსებულ მდგომარეობაში გასაგებიც არის: ქართველები ეჭვობენ, რომ დევნილთა დაბრუნების გარეშე აფხაზეთის სამართლებრივ-პოლიტიკური სტატუსის გარსაზღვრა არსებითად გზას გაუხსნის აფხაზეთში de-facto არსებულ ხელისუფლებას საქართველოსგან გამოყოფისკენ; აფხაზები კი ვარაუდობენ, რომ დევნილთა დაბრუნების შემდეგ სავსებით დემოკრატიული მექანიზმებით (უმრავლესობა რეფერენდუმში, არჩევნებში) ქართველებმა შეიძლება შეზღუდონ მათი საბჭოებისდროინდელი ავტონომიაც კი. უნდობლობის ამ მართლაც მნიშვნელოვან ფაქტორებს ამძიმებს მტრის ხატი, რომელიც მხარეებს ჩამოუყალიბდათ ერთმანეთის მიმართ ომის მსვლელობაში და რომელიც ოფიციალური ურთიერთბრალდებების ფონზე და მოქმედი პროპაგანდის პირობებში არანაკლებ მძლავრია, ვიდრე ომის დროს. ბუნებრივია, არსებობს კიდევ მრავალი სხვა გარემოება ობიექტური, სუბიექტური თუ თავსმოხვეული ხასიათისა, რომელიც აბრკოლებს მხარეთა შემხვედრ მოძრაობას და გვაშორებს კონფლიქტის სამართლიან და მყარსაფუძველიან გადაწყვეტას. ამ გარემოებებზე მსჯელობას, გადაწყვეტილებათა ძიებასა და მოძებნას აზრი ექნება მაშინ, თუ შეიქმნება ზემოხსენებული ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევის საფუძველი და წინაპირობა.

*ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა  
დაბრუნებისთვის პირობებისა და უსაფრთხოების გარანტიების  
შექმნის ძირითადი მექანიზმი; აფხაზური სახელმწიფოებრივი  
თვითმოწყობისა და საქართველოს ერთიანობის გარანტიების  
ძირითადი ასპექტები*

შუღლი და დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის დღეს იმდენად მძლავრია, რომ არ ჩანს რეალური შესაძლებლობა მოკლე პერიოდში მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების აღდგენისა. უპერსპექტივოა აფხაზეთში ადრე არსებული სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელის აღდგენის მცდელობაც. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ბევრს დაპირისპირებულ მხარეებში არ აქვს სურვილი თანაცხოვრებისა. პოლიტიკური მოლაპარაკებების ოთხწლიანი პროცესი უშედეგოა. ქართველები სრულფასოვნად ვერ ბრუნდებიან პრაქტიკულად მონოეთნიკურ გალის რაიონშიც კი; ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პრობლემები შეიქმნება, თუკი საქმე მიდგება იმ რაიონებში დევნილთა დაბრუნებაზე, სადაც მოსახლეობა შერეული იყო ეთნიკური თვალსაზრისით. ამავე დროს მიტოვებული და დაცარიელებულია სოფლები, დაუმუშავებელია მიწები და დევნილთა მიმართ ელემენტარული სამართლიანობის აღდგენის ფაქტორს თავიც რომ დავანებოთ, აფხაზთა ადამიანური რესურსები უბრალოდ საკმარისი არ არის აფხაზეთის ტერიტორიის მიტოვებული ნაწილის ხელახალი ათვისებისთვის. ასეთი მდგომარეობიდან გონივრულ გამოსავლად ჩანს აფხაზეთში ქართული და აფხაზური მოსახლეობის განცალკევება შემდეგი პრინციპის საფუძველზე: სოხუმიდან ჩრდილოეთისკენ - მდინარეების აღმოსავლეთი და დასავლეთი გუმისთის შესართავამდე, შემდეგ - მდინარე აღმოსავლეთი გუმისთის გაყოლებაზე მდინარე ბზიფამდე, მდინარე ბზიფის გაყოლებაზე გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრამდე გაივლება ხაზი, რომლის აღმოსავლეთით აფხაზეთის ტერიტორია ცხადდება უპირატესად ქართველებით დასახლებულ ტერიტორიად, ხოლო ამ ხაზის დასავლეთით მდებარე აფხაზეთის ტერიტორია ცხადდება უპირატესად აფხაზებით დასახლებულ ტერიტორიად; საკუთრივ ქალაქი სოხუმი იყოფა ორ, დაახლოებით თანაბარ ნაწილად. ქართული და აფხაზური მხარეები უზრუნველყოფენ (საერთაშორისო მეთვალყურეების კონტროლის ქვეშ) მათ ზონაში დარჩენილი შესაბამისად აფხაზებისა და ქართველების უსაფრთხოებასა და უფლებების შეუზღუდავ და განუხრელ დაცვას. აფხაზეთში მუდმივად მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს ეძლევათ გარანტიები თავიანთი მუდმივი საცხოვრისების შენარჩუნებისა დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ ზონაში ხვდებიან ისინი. განცალკევების ხაზიდან დასავლეთით მდებარე აფხაზეთის ტერიტორიას აქვს აფხაზეთის რესპუბლიკის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. განცალკევების ხაზიდან აღმოსავლეთით მდებარე აფხაზეთის ტერიტორია ექვემდებარება დანარჩენ საქართველოში მოქმედ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას, ხოლო სამხარეო მოწყობაზე გადასვლის შემდეგ გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებისა და სოხუმის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილისგან ყალიბდება აფხაზეთის მხარე.

## *კონსტიტუციური ხელშეკრულება*

აფხაზეთის რესპუბლიკის განსაკუთრებული სტატუსი, მისი სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის გარანტიები, უფლებამოსილებები და საქართველოს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის პრინციპები ფიქსირდება კონსტიტუციურ ხელშეკრულებაში საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლებებს შორის, რომელიც საჭიროებს პარლამენტების რატიფიკაციას და რომლის მოქმედების გარანტიად დგებიან გავლენიანი სახელმწიფოები (ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია, მაგალითად - ეუთო). ეს კონსტიტუციური ხელშეკრულება ხდება საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციების შემადგენელი ნაწილი. ხელშეკრულებაში შესწორებებისა და (ან) დამატებების შეტანის, ახალი ხელშეკრულების დადების პროცედურის დაწყების უფლება ორივე მხარეს ერთად და ცალ-ცალკე ენიჭება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული დროის პერიოდის გასვლის შემდეგ. შესწორებული ხელშეკრულების ან ახალი ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მოქმედებს არსებული ხელშეკრულება. მხარეებს შორის ამ საკითხებზე მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ გარანტი სახელმწიფოები (საერთაშორისო ორგანიზაცია). ცვლილებები და დამატებები ხელშეკრულებაში ან ახალი ხელშეკრულება შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ აფხაზეთის რესპუბლიკის სტატუსის ამადლებისა და უფლებამოსილებების გაფართოებისაკენ.

## *აფხაზეთის დემილიტარიზაცია*

აფხაზეთის მთელი ტერიტორია (აფხაზეთის რესპუბლიკა და აფხაზეთის მხარე) ცხადდება დემილიტარიზებულ ზონად. დაუშვებელია აფხაზეთში უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზებისა ან კონტინგენტის განლაგება გარდა საერთაშორისო სამშვიდობო ძალებისა. საქართველოს ხელისუფლება იღებს ვალდებულებას, მშვიდობიანობის დროს არ იქონიოს სამხედრო ბაზები აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, არ განაღდოს იქ სამხედრო ნაწილები და არ ჩაატაროს სახმელეთო, საჰაერო თუ საზღვაო სამხედრო წვრთნები. აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლება იღებს ვალდებულებას, არ იყოლიოს შეთანხმებით განსაზღვრულზე მეტი პირადი შემადგენლობა პოლიციაში (შინაგან ჯარებში), არ იქონიოს სამხედრო ტექნიკა, არტილერია, სხვა შეიარაღება და აღჭურვილობა გარდა იმისა, რომელიც გარანტი მხარის მონაწილეობით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე განისაზღვრება როგორც აუცილებელი მინიმუმი პოლიციის (შინაგანი ჯარების) მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისთვის. შეთანხმების ძალით და შეთანხმებაში განსაზღვრული ვადით აფხაზეთის რესპუბლიკის წევვამდებელი თავისუფლდებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში (მაგრამ ინარჩუნებენ უფლებას გაიარონ ეს სამსახური ნებაყოფლობით ან საკონტრაქტო საფუძველზე). აფხაზეთის რესპუბლიკის პოლიციაში (შინაგან ჯარებში) სამსახური მათ ეთვლებათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლად.

## *სამართლებრივი ასპექტები*

ურთიერთობები საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებასა და აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლებას შორის, თითოეული მათგანის განსაკუთრებულ,

აგრეთვე საერთო გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა წრე რეგულირდება კონსტიტუციური ხელშეკრულებით, საქართველოს კონსტიტუციითა და აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით.

აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე საარჩევნო უფლებით სარგებლობენ პირები, ვისაც კონსტიტუციურ ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული და საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციებში და კანონმდებლობებში განსაზღვრული პრინციპების მიხედვით აქვთ აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა. აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთია პირადობის მოწმობა. აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქე იმავდროულად და ავტომატურად არის საქართველოს მოქალაქე. საქართველოს ხელისუფლება იღებს ვალდებულებას არ შეუქმნას დაბრკოლებები აფხაზი ეროვნების სხვა ქვეყნების მოქალაქეებსა ან მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქეობის მიღებაში.

აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლებას აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესის მიხედვით უფლება აქვს მიანიჭოს აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეს. აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევა ხდება აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესის მიხედვით.

აფხაზეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტის ზედა პალატაში – სენატში, აგრეთვე აფხაზეთის რესპუბლიკის მონაწილეობა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში განისაზღვრება კონსტიტუციური ხელშეკრულებითა და საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით. საქართველოს პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნებში აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეები მონაწილეობენ საერთო საფუძველზე.

**დანართი 1.**

აფხაზეთის მოსახლეობა 1989 წ. აღწერის მიხედვით

|                | აბს.რაოდ. პროცენტულად |       |
|----------------|-----------------------|-------|
|                | 1                     | 2     |
| სულ მოსახლეობა | 525.061               | 100%  |
| ქართველები     | 239.872               | 45,7% |
| აფხაზები       | 93.267                | 17,8% |
| სომხები        | 76.541                | 14,6% |
| რუსები         | 74.914                | 14,3% |
| სხვები         | 40.467                | 7,6%  |

|            | გალის რ-ნი |       | ოჩამჩირის რ-ნი |       | ქ.ტყვარჩელი |       | გულრიფშის რ-ნი |       |
|------------|------------|-------|----------------|-------|-------------|-------|----------------|-------|
|            | 1          | 2     | 1              | 2     | 1           | 2     | 1              | 2     |
| სულ        | 79.688     | 100%  | 75.388         | 100%  | 21744       | 100%  | 54.962         | 100%  |
| ქართველები | 74.712     | 93.8% | 34.800         | 46.2% | 5086        | 23.4% | 29.014         | 52.8% |
| აფხაზები   | 627        | 0.8%  | 27.640         | 36.7% | 9202        | 42.3% | 1.311          | 2.4%  |
| სომხები    | 530        | 0.7%  | 6.226          | 8.3%  | 337         | 1,5%  | 13.878         | 25.3% |
| რუსები     | 2.480      | 3.1%  | 4.439          | 5.9%  | 5321        | 24,5% | 7.646          | 13.9% |
| სხვები     | 1.339      | 1.6%  | 2.283          | 2.9%  | 1798        | 8,3%  | 3.113          | 5.6%  |

|            | ქალაქი |       | სოხუმი |       | სოხუმის რ-ნი |       | გუდაუთის რ-ნი |       | გაგრის ზონა |   |
|------------|--------|-------|--------|-------|--------------|-------|---------------|-------|-------------|---|
|            | 1      | 2     | 1      | 2     | 1            | 2     | 1             | 2     | 1           | 2 |
| სულ        | 119150 | 100%  | 39516  | 100%  | 57.534       | 100%  | 77.079        | 100%  |             |   |
| ქართველები | 49460  | 41,5% | 17526  | 44,4% | 7.699        | 13.4% | 21.575        | 28.0% |             |   |
| აფხაზები   | 14922  | 12,5% | 1996   | 5,1%  | 30.541       | 53.1% | 7.028         | 9.1%  |             |   |
| სომხები    | 12242  | 10,3% | 11617  | 29,4% | 8.857        | 15.4% | 22.854        | 29.7% |             |   |
| რუსები     | 25739  | 21,6% | 2858   | 7,2%  | 7.741        | 13.5% | 18.690        | 24.2% |             |   |
| სხვები     | 16787  | 14,1% | 5519   | 13,9% | 2.696        | 4.6%  | 6.932         | 9.0%  |             |   |

ეროვნებების მიხედვით მოსახლეობის განსახლება აფხაზეთში (1989 წ. მონაცემების მიხედვით განცალკევების შეთავაზებულ ხაზზე)

|            | აფხაზეთის მხარე |        |        | აფხაზეთის რესპუბლიკა |        |       |
|------------|-----------------|--------|--------|----------------------|--------|-------|
|            | 1               | 2      | 3      | 1                    | 2      | 3     |
| სულ        | 332917          | 63,4%  | 100%   | 192144               | 36,6%  | 100%  |
| ქართველები | 210598          | 87,8%  | 63,25% | 29274                | 12,2%  | 15,2% |
| აფხაზები   | 38780           | 41,6%  | 11,65% | 54487                | 58,4%  | 28,4% |
| სომხები    | 30964           | 40,45% | 9,3%   | 45577                | 59,55% | 23,7% |
| რუსები     | 33709           | 45%    | 10,1%  | 41205                | 55%    | 21,4% |
| სხვები     | 18866           | 46,6%  | 5,7%   | 21601                | 53,4%  | 11,3% |

(1-მოსახლეობის რაოდენობა ზონაში; 2-მოცემულ ზონაში მოსახლეობის წილი პროცენტულად აფხაზეთის მთლიან მოსახლეობასთან; 3-პროცენტულად ზონის მოსახლეობასთან)

| ტერიტორია | სულ აფხაზეთი |      | აფხაზეთის მხარე |     | აფხაზეთის რესპუბლიკა |      |
|-----------|--------------|------|-----------------|-----|----------------------|------|
|           | კვ.კმ.       | %    | კვ.კმ.          | %   | კვ.კმ.               | %    |
| ტერიტორია | 8639,5       | 100% | 5011            | 58% | 3628,5               | 42%. |